**შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"** აცხადებს ტენდერს კომპანიის საკუთრებაში, (სხვადასხვა ლოკაციაზე) არსებული ამწეებისა და ტვირთამწე-მექანიზმების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით.

## მომსახურების შესყიდვის ტექნიკური დავალება

**შესასრულებელი სამუშაოები:**
კომპანიის საკუთრებაში არსებული (ჯამში) 88 ერთეული სხვადასხვა ტიპის ამწეებისა და ტვირთამწე-მექანიზმებისთვის საჭირო მომსახურების გაწევა (რემონტი-აღდგენა).

ამწეებისა და ტვირთამწე-მექანიზმების ჩამონათვალი განისაზღვრება **დანართი N1**-ის შესაბამისად.

**გასაწევი მომსახურების** აღწერილობა და სათადარიგო ნაწილების ჩამონათვალი განისაზღვრება **დანართი N2**-ის შესაბამისად. (**დანართი N2**-ით განსაზღვრულ ჩამონათვალში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მომსახურების სრულყოფის მიზნით, დამატებითი სამუშაოები და სათადარიგო ნაწილები რომლებიც არ არის შესული ჩვენ მიერ შედგენილ დანართში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ დამატებითი დანართის სახით)
ამწეებისა და ტვირთამწე-მექანიზმების სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ჩამონათვალი და რაოდენობა განისაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით.

**სამუშაო ითვალისწინებს:** – ამწეებისა და ტვირთამწე მექანიზმების რეაბილიტაციას მუშა პროცესის გასამართად, მეტალოკონსტრუქციების დათვალიერებას ბზარების არსებობაზე, დეფორმაციაზე, კოროზიის კერებზე; მათი სავალი ნაწილის რევიზიას; – მუხრუჭების რევიზია - შემოწმებას; ჯაჭვების

შემოწმებას მთლიანობაზე და სხვა;

**აუცილებელი მოთხოვნა:** ამწეების ელექტრომოწყობილობა, დენმიმყვანი და დამიწება უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი ნორმატიული აქტების და ელექტრო დანადგარების მოწყობის წესების მოთხოვნებს.

ამ ეტაპისთვის შემოწმებულია, დადიაგნოსტირებულია და ოქმი შედგენილია 38 ამწე-მექანიზმზე, ხოლო დანარჩენი დაემატება ეტაპობრივად მას შემდეგ რაც დასრულდება ინსპექტირება.

ამწე-მექანიზმების რემონტის შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია განაცხადი გააკეთოს შემოწმებაზე. შემსრულებელმა სერტიფიცირება უნდა მოითხოვოს მხოლოდ აკრედიტირებულ კომპანიასთან. კომპანიის სახელი და აკრედიტაცია უნდა შეთანხმდეს და დადასტურდეს დამკვეთთან. იმ შემთხვევაში თუ შეკეთებული ამწე სერტიფიცირებას ვერ გაივლის მომწოდებელმა უნდა გამოასწოროს ხარვეზი და შესაბამისობაში მოიყვანოს სერტიფიცირებასთან.

**ვადა:** სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს მოცულობით.